საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 50 9 02/03/2020

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017 – 2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ

განხილულ იქნა რა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2017-2018 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში აღნიშნული ნაკლოვანებები და ნაკლოვანაბების აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციები, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 61 მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა

მუხლი 1.დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (ო. ლურსმანაშვილი) მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების,,„სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი“-ს შესაბამისად შეიმუშაონ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესი და წარმოადგინოს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ჭიპაშვილი) მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად შეიმუშაოს წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის წესი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ხარჯის რაციონალურად, ეკონომიურად და გამჭვირვალედ გამოყენების შესაძლებლობას და წარმოადგინონ საკრებულოს უახლოეს სხდომაზე დასამტკიცებლად.

მუხლი 3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოსთან შეთანხმებით საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, შეიმუშაონ წესი, რომელიც უზრუნველყოფს ,ავტომობილებზე კონკრეტული სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე გაცემული საწვავის კონტროლს, სათანადო აღრიცხვას

მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, სადაც ასევე განმარტებული იქნება საწვავის გაცემის მიზნობრიობა და ოდენობა.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 5. .განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე